# [სტრასბურგის სასამართლომ 2014 წლის სოფელ მოხეს საქმეზე სახელმწიფო დაადანაშაულა]



**ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2014 წლის ოქტომბერში სოფელ მოხეში პოლიციის მიერ ადგილობრივი მუსლიმების დაკავებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის გარემოებებთან დაკავშირებულ საქმეზე სახელმწიფო ევროპული კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევაში დაადანაშაულა. აღნიშნული მუხლები გულისხმობს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დისკრიმინაციის აკრძალვას. გადაწყვეტილება საქმეზე „მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" ევროპული სასამართლოს ვებგვერდზე [გამოქვეყნდა].**

სარჩელის მიხედვით, მომჩივანთა დაკავების დროს პოლიცია მათ ფიზიკურად და ვერბალურად დაესხა თავს, გამოიყენა დისკრიმინაციული შეურაცხყოფა და მათ საჩივარზე გამოძიება არაეფექტურად ჩატარდა, რაც კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევას წარმოადგენდა.

როგორც გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, ოთხივე მომჩივანის მიმართ დადგინდა მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევა როგორც დამოუკიდებლად, ასევე მე-14 მუხლთან მიმართებით. ამასთან, სასამართლო ადგენს, რომ თეიმურაზ მიქელაძის მიმართ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის არსებითი ასპექტის დარღვევას. სხვა სამი აპლიკანტის მიმართ მე-3 მუხლის არსებითი ასპექტის დარღვევა არ დადგენილა.

სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ არ არის საჭიროება, არსებითად განიხილოს მომჩივანთა საჩივრები მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების

თავისუფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლებთან მიმართებით. სტრასბურგის სასამართლომ დაავალდებულა საქართველოს მთავრობა, გადაუხადოს 3 900 ევრო მიქელაძეს, ხოლო დანარჩენ სამ მოსარჩელეს სათითაოდ 1 800 ევრო.

აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულების ინტერესებს ევროპული სასამართლოს წინაშე, ისევე როგორც ადგილობრივ დონეზე, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ იცავდა.